ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №57926

ნომერი: AR123086

თარიღი : 13.02.2012

გაცემის თარიღი : 23.02.2012

გაცნობის თარიღი : 24.04.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი დავით აღმაშენებელი , N 55/1 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კახაბერ აბულაძე პ/ნ 01008021793
- თბილისი ნ.ცხვედაძის ქ. N 56

ნომენკლატურა :

- მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (ექსტერიერისა და ინტერიერის სარესტავრაციო, სარემონტო და გაწმენდის სამუშაოები)
- II კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

გაცნობებთ, რომ დავით აღმაშენებელის გამზ. 55/კიევის ქ. 1-ში მდებარე შენობას მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი.
კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად უძრავ ძეგლზე თქვენს მიერ ჩასატარებელი სამუშაოები განეკუთვნება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებს. მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად საჭიროა არქიტექტურული პროექტის წარმოდგენა, თანდართული შემდეგი დოკუმენტებით: 1.განმარტებითი ბარათი, ხელმოწერილი არქიტექტორის მიერ, 2.სიტუაციური გეგმა მ. 1:200 (ადგილის მითითებით),3. ინფორმაცია მიწის ნაკვეთის და უძრავი ფართის საკუთრების თაობაზე, რომელიც უნდა შეიცავდეს საკადასტრო კოდს, მისამართს და მესაკუთრის ვინაობას (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკუთრების შესახებ); 4.არქიტექტურული ნახაზები ზომების, ნიშნულების და სამშენებლო მასალის მითითებით; 5. პროექტის ელექტრონული ვერსია; 6. კალენდარული გრაფიკი სამუშაოების ჩამონათვალით და მისი შესრულების ვადების მითითებით; 7.კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლზე სამუშაოების ჩასატარებლად დაწესებული მოსაკრებლის გადახდის (50 ლარის ოდენობით) დამადასტურებელი დოკუმენტი; 8. არსებული ვითარების ამსახველი ფოტომასალა და საპროექტო ფოტომონტაჟი. 9.საინჟინრო ტექნიკური დასკვნა უძრავი ძეგლის მდგრადობის და უსაფრთხოების შესახებ საპროექტო სამუშაოებთან დაკავშირებით; 10. დამკვეთის, უძრავი ქონების მესაკუთრის, განმცხადებელის სახელზე, ნოტარული წესით დამოწმებული მინდობილობა საქმის წარმოებაზე.
•

• სამშენებლო სამუშაოები დაწყებული იქნეს მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ.

• სამშენებლო დოკუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.